თჰუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიში

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური მაჩვენებლები 2013-2018

უნივერსიტეტის შემოსავლები 2013-2018 წლების განმავლობაში იყო სტაბილური და ზრდადი. უნივერსიტეტის ერთი წლის შემოსავალი საშუალოდ ფიქსირდებოდა 1200 000 ლარიდან 1600 000 ლარამდე. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი რომ 2014 წლის შემოსავალი 2013 წელთან შედარებით იყო შემცირებული 7% ით, რისი მიზეზიც იყო ის, რომ 2014 წლის საგაზაფხულო სემესტრში სამართლის ფაკულტეტის კურსდამთავრებული სტუდენტების დიდი ჯგუფი იქნა გამოშვებული. 2015 წლიდან 2018 წლის ჩათვლით შემოსავალი წლიურად იზრდებოდა სტაბილურად 20-25%-ის ფარგლებში. ამ წლებში შემოსავლის ზრდაზე იმოქმედა იმ ფაქტორმა, რომ უნივერსიტეტში გაიზარდა სტუდენტთა რაოდენობა ჯანდაცვისა და ეკონომიკის ფაკულტეტებზე.

შემოსავლები 2013-2018 წლებში ძირითადად მიღებულია უნივერსიტეტში აკრედიტირებული სამართლის, ჰუმანიტარული, ჯანდაცვისა და ეკონომიკის ფაკულტეტებზე სტუდენტების მიერ შემონატანი თანხებიდან, და აგრეთვე სახელმწიფოს მიერ სტუდენტებზე ჩამორიცხული სხვადასხვა ტიპის გრანტებიდან. ასევე შემოსავლების შემადგენლობაში შედიოდა დამატებითი კრედიტებისგან მიღებული თანხები. გარდა ზემოთხსენებული შემოსავლებისა უნივერსიტეტში ამ წლების განმავლობაში ფიქსირდებოდა სხვა არასაოპერაციო შემოსავლებიც, კერძოდ: შემოსავლები იჯარიდან და ცალკეული ძირითადი ფონდების რეალიზაციიდან.

2013-2018 წლებში უნივერსიტეტის მიერ გაწეული ხარჯებიც ასევე ხასიათდება სტაბილურობით, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს რომ 2014 წელს ხარჯების რაოდენობამაც დაიკლო 7 %-ით, რაც შესაბამისობაში იყო ამ წლის შემოსავლებთან, ამასთანავე უნივერსიტეტს ახალი გავლილი ქონდა ავტორიზაცია-აკრედიტაცია 2014 წელს და დანახარჯების დიდი ნაწილი უკვე გაწეული იქნა წინა წლებში.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტი ორიენტირებული იყო სწავლების ხარისხის ამაღლების მიმართულებით, რაც გამოიხატებოდა ხარჯების იმ მიმართულების ზრდაში, რაც საშუალებას იძლეოდა სხვადასხვა ინოვაციების დანერგვის, რის შედეგადაც შესაძლებელი იყო სტუდენტთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება. კერძოდ აღნიშვნის ღირსია ის, რომ ამ წლების განმავლობაში ჯანდაცვის ფაკულტეტზე მოეწყო და აღიჭურვა ლაბორატორია-აუდიტორიები სხვადასხვა აუცილებელი თანამედროვე ინვენტარით, სპეციალური დანადგარებთ, მულაჟებით

და სხვა სამედიცინო საგნებით, ასევე ამავე ფაკულტეტის სტუდენტების კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე გაიარეს პრაქტიკა-სტაჟირება სხვადასხვა მოწინავე კლინიკებში. რაზედაც ამ ხარჯების დასაფარავად მიმართული იქნა უნივერსიტეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი.

რაც შეეხება უნივერსიტეტის მიერ გაწეულ სხვადასხვა სახის საერთო ხარჯებს, რომელიც შეადგენს საშუალოდ შემოსავლების 85%-ს, რამაც საშუალება მისცა უნივერსიტეტს დაეკმაყოფილებინა განათლების სტანდარტები და ბიზნესის მოთხოვნები კვალიფიციურ კადრებზე .

<u>საანგარიშო პერიდში ძირითადად გაწეული იყო შემდეგი სახის დანახარჯები:</u>

1. <u>ადმინისტრაციული ხარჯები:</u>

#	ხარჯების დასახელება	2013	2014	2015	2016	2017	2018
1	ადმინისტრაციის ხელფასი	232000	246000	307200	375100	376000	376500
2	დამხ/პერსონალის ხელფასი	120000	135000	142500	151500	152000	152200
3	ნარდობის ხელ-ბით გათვალისწ. ხელფასი	18000	20000	22800	35800	36000	36500
4	საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	1500	1000	1500	500	1500	1500
5	საკანცელარიო ხარჯები	3200	3500	4000	4200	5000	5000
6	ექიმის კაბინეტის ხარჯები	1000	1100	2500	3800	3900	3500
7	კომუნიკაციის ხარჯი (ინტერნეტი,ტელეფონი და სხვა)	1800	2000	2500	4000	5200	5500
8	ლოჯისტიკური ხარჯები	1200	1500	1800	2000	2000	2000
9	საქველმოქმედო ხარჯები	1000	800	800	1100	1000	1000
10	დაზღვევის ხარჯები	200	200	200	200	200	200
11	კომუნალური ხარჯები	15000	14000	13700	15600	18000	17800
12	საბანკო მომსხ. ხარჯები	900	800	1000	900	800	800
13	საგადასახადო ხარჯები	9200	9500	9800	10000	10000	9000
14	წარმომადგენლობითი ხარჯები	800	1000	1500	2000	3800	4000
15	მივლინების ხარჯები	900	500	1000	1200	3900	3500
16	სხვა ტიპის ხარჯები	23100	24500	22800	12500	12800	12500

2.საგანმანათლებლო ხარჯები

#	ხარჯების დასახელება	2013	2014	2015	2016	2017	2018
1	აკადემიური პერს/ხელფასი	130000	184000	187000	192500	194500	195200
2	მოწვ/პერსონალის ხელფასი	125000	145000	155000	167200	168300	168800
3	შრომ/ მოტივაც/ ხარჯები	15000	20000	22500	23900	24000	24500
4	გარესაექსპერტო ხარჯები	---	---	---	---		
5	სტუდენტების სტიპენდიები	---	---	3600	3600	3600	3600
6	სტუდ/სოც/ მხარდაჭერის	500	1800	2000	2200	2600	2700

	ხარჯი						
7	სამეცნიერო კვლევების ხარჯები	2000	4500	2500	3200	3500	3500
8	შრომის ბაზრის კვლევების ხარჯები	1000	1500	2000	2800	3000	3000
9	სტუდენტთა კარიერული წინსვლის ხარჯები	---	---	---	---		3000
10	სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯები	4500	7000	4000	5500	5800	6000
11	მივლინების (კონფერენციები და ტრენინგების) ხარჯები	3000	2000	1500	3000	3500	3500
12	სტუდენტ/თვითმართველობის დაფინანს/ხარჯები	500	800	1000	1800	2000	2000
13	შშმ პირთა ადაპტირებული გარემოს ხარჯები	1200	1000	1300	1600---	1800	2000
14	საერთ/ურთიერთობებისა და უცხოელ სტუდენტთა მხარდაჭერის ხარჯები	----	---	---	----		1000
15	უსდ-ს წარმომადგ/ორგანოების საქმიანობის ხარჯები	800	1000	1200	1500	1800	2000
16	გაცვლითი პროგრამების დაფინანსების ხარჯები	----	---	--	-----		1000
17	პროფესიული პრაქტიკის უზრუნველყოფის ხარჯები	3800	4200	5000	8800	9000	9500
18	კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ხარჯები	4500	8000	6000	7200	8000	8500

3. მატერიალური და არამატერიალური რესურსების ხარჯები

#	ხარჯების დასახელება	2013	2014	2015	2016	2017	2018
1	ძირითადი ფონდების შეძენის ხარჯი	68000	67500	155000	177500	40500	86000
2	არამატერიალური აქტივების ხარჯი	24000	--	---	---	9000	24000
3	საბიბლიოთეკო რესურსების განვითარების ხარჯი	6500	4500	5000	9200	9500	9600
4	კაპიტალიზაციის ხარჯი	5000	8500	12000	9000	8000	10000
5	მცირეფასიანი ინვენტარი ხარჯი	8000	4000	3000	1500	2500	2600
6	უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხარჯი	2500	3400	3500	3700	14000	5000
7	ავტოსატრანპორტო საშუალებების ხარჯები	3500	4200	1600	2500	3000	3200
8	სხვა ხარჯი(ბანკის სესხის %)	88600	49000	38000	25500	5000	5500

მონაცემების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ საანგარიშო წლების განმავლობაში უნივერსიტეტს ქონდა სტაბილური შემოსავალი, რამაც შესაძლებლობა მოგვცა თანხები მიგვემართა უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების (სამართლის საბაკალავრო, ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო (ქართული და რუსული), ტურიზმის საბაკალავრო, ევროპეისტიკის საბაკალავრო, ფსიქოლოგიის საბაკალავრო, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (რუსული და ქართული), მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ქართული და ინგლისური), ფარმაციის საგანმანათლებლო, სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო (რუსულენოვანი) მაღალ დონეზე განხორიელებისათვის, ასევე ხარჯები გაწეული იქნა იმ მიმართულებითაც რომ უნივერსიტეტის პედაგოგიური პერსონალი-პროფესორ მასწავლებლები და სტუდენტები ჩართული ყოფილიყვნენ სხადასხვა საგანმანათლებლო პროექტებში, ტრენინგებში და კონფერენციებში. ამ პერიოდში გაიზარდა ხარჯები სოციალურად დაუცველი სტუდენტების დახმარების თვალსაზრიზით, აგრეთვე უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინაარმდეგო ღონისძიებების დაფინანსებაზე.

უნივერსიტეტმა 2013-2018 წლებში იმუშავა სტაბილურად, რაც გამოიხატება ფინანსურ მაჩვენებლებში, როგორც შემოსავლის თვალსაზრისით, ასევე ხარჯვით ნაწილში, შემოსავლების თანაპროპორციულია დანახარჯებიც, რომლებიც ორიენტირებული იყო საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესებაზე.